23/04/2021

რვა წელი ალეპოს მიტროპოლიტ პავლეს გაუჩინარებიდან



2013 წლის 22 აპრილს, კვირა დღეს, საღმრთო ლიტურგიის აღსავლენად დამასკოდან ალეპოში ჩასული ანტიოქიის საპატრიარქოს მღვდელმთავარი, ალეპოს მიტროპოლიტი პავლე და მასთან ერთად მყოფი კოპტი ეპისკოპოსი იოანე, ისლამური სამყაროს ტერორისტულმა ძალებმა შეიპყრეს და დღემდე მათი კვალი გამქრალია.
მათ შესახებ ამ დრომდე არაფერია ცნობილი, ცოცხლები არიან თუ გარდაცვლილები.
შეგახსენებთ, ალეპოს მიტროპოლიტი პავლე არის მისი ღვთაებრივი უნეტარესობის ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქის იოანე მეათის ხორციელი ძმა.

[მსოფლიო საეკლესიო სიახლენი]